XIV დანართის დამატება 2

მუხლში 6.4 მოხსენიებული

ისლანდიის დათქმები

ისლანდია

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	კანონი No. 138/1994 შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანიების შესახებ, კანონი No. 2/1995 შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების შესახებ, კანონი No. 34/1991 არარეზიდენტების მიერ ბიზნეს საწარმოებში ინვესტირების შესახებ
ღონისძიების მოკლე აღწერა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანიის ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიის დამფუძნებლების უმეტესობა, მენეჯერი(ები) და დირექტორთა საბჭოს მინიმუმ ნახევარი უნდა იყვნენ ისლანდიის, ან ევროპის ეკონომიკური სივრცის სხვა წევრი სახელმწიფოს, ან ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის სხვა წევრი სახელმწიფოს, ან ფარერის კუნძულების[1] რეზიდენტები. ვაჭრობის მინისტრს შეუძლია გამონაკლისის დაშვება ამ შეზღუდვებიდან.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	უზრუნველყოფილ იქნას დირექტორთა საბჭოს უმრავლესობისა და მენეჯერების სამართლებრივი დავის განხილვის ადგილის ყოფნა ისლანდიის იურისდიქციის ფარგლებში.

ისლანდია

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	

[1] რეზიდენტობასთან დაკავშირებულ კრიტერიუმში გამონაკლისის დაშვება EEA წევრი სახელმწიფოების და EFTA წევრი სახელმწიფოების ან ფარერის კუნძულების მუდმივი მცხოვრებლებისათვის არ არის ეროვნულ რეჟიმთან დაკავშირებული დათქმა, არამედ ეს წინადადება ჩართულია იმისათვის, რომ წარმოადგინოს ღონისძიების ამომწურავი აღწერა.

იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	კანონი No 19/1966 უძრავი ქონების ფლობისა და სარგებლობის უფლების შესახებ, კანონი No. 34/1991 არარეზიდენტების მიერ ბიზნეს საწარმოებში ინვესტირების შესახებ
ღონისძიების მოკლე აღწერა:	მხოლოდ ისლანდიის მოქალაქეებს, ისლანდიის იურიდიულ პირებს და ევროპის ეკონომიკური სივრცის სხვა წევრ სახელმწიფოს, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის სხვა წევრ სახელმწიფოს ან ფარერის კუნძულების მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს აქვთ უძრავი ქონების ფლობის უფლება ისლანდიაში, თუ ამგვარი ფლობა და სარგებლობა არ არის დაკავშირებული უძრავ ქონებაში ინვესტიციებთან, რომელიც კავშირშია ინვესტორის ბიზნეს საქმიანობასთან.[2] იგივე ეხება უძრავი ქონების დაქირავებას, თუ იჯარის ხანგრძლივობა აღემატება 3 წელს. აღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) არაწევრი ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც ცხოვრობს ისლანდიაში მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში. იუსტიციის მინისტრს შეუძლია გამონაკლისის დაშვება ამ შეზღუდვებიდან.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	უძრავი ქონების ღირებულების რყევებმა, რომლებიც შესაძლოა ჭარბი საგარეო მოთხოვნით იქნას გამოწვეული, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბინებისა და საზაფხულო სახლების (სააგარაკო სახლების) შიდა ბაზარზე.

ისლანდია

სექტორი:	მეთევზეობა
ქვესექტორი:	თევზჭერა, ვეშაპების ჭერა
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი::	კანონი No. 22/1998 უცხო გემების მიერ თევზჭერაზე და თევზის გადამუშავებაზე ისლანდიის ეკონომიკურ ზონაში, კანონი No. 34/1991 არარეზიდენტების მიერ ბიზნეს საწარმოებში ინვესტირების შესახებ, კანონი No. 26/1949 ვეშაპების ჭერაზე
ღონისძიების მოკლე	სარეწი ოპერაციების ჩატარება ისლანდიის

[2] მოქალაქეობასა და იურიდიული პირთან დაკავშირებულ კრიტერიუმში გამონაკლისად დაშვება EEA წევრი სახელმწიფოების და EFTA წევრი სახელმწიფოების ან ფარერის კუნძულების მუდმივი მაცხოვრებლებისათვის არ არის ეროვნულ რეჟიმთან დაკავშირებული დათქმა, არამედ ეს წინადადება ჩართულია იმისათვის, რომ წარმოადგინოს ღონისძიების ამომწურავი აღწერა.

აღწერა:	მეთევზეობის იურისდიქციის ფარგლებში შეუძლიათ მხოლოდ შემდეგ პირებს: (a) ისლანდიის მოქალაქეებს და სხვა ისლანდიელ პირებს. (b) ისლანდიის იურიდიულ პირებს, რომელთა სრული მფლობელები არიან ისლანდიელი პირები ან ისლანდიის იურიდიული პირები: (i) რომლებიც ისლანდიელი პირების კონტროლის ქვეშ არიან; (ii) რომლებშიც უცხო ქვეყნის რეზიდენტების წილი 25%-ზე მეტი არ არის, რაც გამოითვლება საწესდებო ან საწყისი კაპიტალის საფუძველზე. თუმცა, თუ ისლანდიელი იურიდიული პირის წილი იურიდიულ პირში, რომელიც ახორციელებს თევზჭერის ოპერაციებს ისლანდიის მეთევზეობის იურისდიქციაში ან თევზის გადამუშავებას ისლანდიაში არ არის 5%-ზე მეტი, უცხო ქვეყნის რეზიდენტის წილი შეიძლება იყოს 33%-მდე; (iii) რომლებიც სხვა მხრივ, ისლანდიის მოქალაქეების ან ისლანდიელი პირების კონტროლის ქვეშ მყოფი ისლანდიელი იურიდიული პირების საკუთრებაში არიან.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	თევზჭერის მრეწველობის შედარებითი ეკონომიკური მნიშვნელობა ისლანდიისათვის, სადაც თევზი და თევზის პროდუქტები წარმოადგენს ქვეყნის საგარეო შემოსავლის დაახლოებით ნახევარს, ასევე ისლანდიის განზრახვა შეინარჩუნოს მისი თევზჭერის მარაგებიდან დაჭერილი თევზის სტაბილური რაოდენობა. ისლანდიის თევზის მარაგის შენარჩუნებასთან დაკავშირებული კონტროლი და ზედამხედველობა უნდა იყოს ისლანდიური იურისდიქციის ქვეშ.

ისლანდია

სექტორი:	მეთევზეობა
ქვესექტორი:	თევზის გადამუშავება
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	კანონი No. 34/1991 არარეზიდენტების მიერ ბიზნეს საწარმოებში ინვესტირების შესახებ.
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ისლანდიაში თევზის გადამამუშავებელი საწარმოს ფლობა და მართვა შეუძლიათ მხოლოდ შემდეგ პირებს: (a) ისლანდიის მოქალაქეებს და სხვა ისლანდიელ პირებს. (b) ისლანდიის იურიდიულ პირებს, რომელთა სრული მფლებელებიც ისლანდიელი პირები არიან ან ისლანდიის იურიდიული პირებს: (i) რომლებიც ისლანდიელი პირების კონტროლის ქვეშ არიან; (ii) რომლებშიც უცხო ქვეყნის რეზიდენტების წილი 25%-ზე მეტი არ არის, რაც გამოითვლება საწესდებო ან საწყისი კაპიტალის საფუძველზე. თუმცა, თუ ისლანდიელი იურიდიული პირის წილი იურიდიულ პირში, რომელიც ახორციელებს თევზჭერის ოპერაციებს ისლანდიის მეთევზეობის იურისდიქციაში ან თევზის გადამუშავებას ისლანდიაში არ არის 5%-ზე მეტი, უცხო ქვეყნის რეზიდენტის წილი შეიძლება იყოს 33%-მდე; (iii) რომლებიც სხვა მხრივ, ისლანდიის მოქალაქეების ან ისლანდიელი პირების კონტროლის ქვეშ მყოფი ისლანდიელი იურიდიული პირების საკუთრებაში არიან. თევზის გადამუშავება ამ კონტექსტში ნიშნავს გაყინვას, დამარილებას, გამოშრობას და სხვა ნებისმიერ პროცესს, რომელიც თავდაპირველად გამოიყენება თევზისა და თევზის პროდუქტების შესანახად, მათ შორის თევზის ქონის დნობას და

	თევზის ფქვილის დამუშავებას. ეს დათქმა არ ვრცელდება თევზის მეორედ გადამუშავებაზე.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	თევზის გადამუშავებაზე დათქმა არის თევზჭერისა და ვეშაპების ჭერის სფეროზე კონტროლის შენარჩუნების განუყოფელი ნაწილი. თევზჭერის მრეწველობის შედარებითი ეკონომიკური მნიშვნელობა ისლანდიისათვის, სადაც თევზი და თევზის პროდუქტები ქვეყნის საგარეო შემოსავლის დაახლოებით ნახევარს წარმოადგენს; ასევე ისლანდიის განზრახვა შეინარჩუნოს მისი თევზჭერის მარაგებიდან დაჭერილი თევზის სტაბილური რაოდენობა. ისლანდიის თევზის მარაგის შენარჩუნებასთან დაკავშირებული კონტროლი და ზედამხედველობა უნდა იყოს ისლანდიური იურისდიქციის ქვეშ.

ისლანდია

სექტორი:	მეთევზეობა
ქვესექტორი:	თევზის გაყიდვა აუქციონზე
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	კანონი No. 79/2005 აუქციონზე თევზის გაყიდვასთან დაკავშირებით.
ღონისძიების მოკლე აღწერა:	მხოლოდ ისლანდიის მოქალაქეებს, ისლანდიის იურიდიულ პირებს და ევროპის ეკონომიკური სივრცის სხვა წევრი სახელმწიფოს, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის სხვა წევრი სახელმწიფოს ან ფარერის კუნძულების მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს აქვთ უფლება ფლობდნენ და მართავდნენ ისლანდიაში აუქციონის წესით თევზის გაყიდვაში ჩართულ საწარმოს.[3]
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	აუქციონზე თევზის გაყიდვასთან დაკავშირებული დათქმა არის თევზჭერისა და ვეშაპების ჭერის სფეროზე კონტროლის შენარჩუნების განუყოფელი ნაწილი. თევზჭერის მრეწველობის შედარებითი ეკონომიკური მნიშვნელობა ისლანდიისათვის, სადაც თევზი და თევზის

[3] მოქალაქეობასა და იურიდიული პირთან დაკავშირებულ კრიტერიუმში გამონაკლისის დაშვება EEA წევრი სახელმწიფოების და EFTA წევრი სახელმწიფოების ან ფარერის კუნძულების მუდმივი მაცხოვრებლებისათვის არ არის დათქმა ეროვნულ რეჟიმთან დაკავშირებით, არამედ ეს წინადადება ჩართულია იმისთვის, რომ წარმოადგინოს ღონისძიების ამომწურავი აღწერა.

	პროდუქტები ქვეყნის საგარეო შემოსავლის დაახლოებით ნახევარს წარმოადგენს; ასევე ისლანდიის განზრახვა შეინარჩუნოს მისი თევზჭერის მარაგიდან დაჭერილი თევზის სტაბილური რაოდენობა. ისლანდიის თევზის მარაგის შენარჩუნებასთან დაკავშირებული კონტროლი და ზედამხედველობა უნდა იყოს ისლანდიური იურისდიქციის ქვეშ.

ისლანდია

სექტორი:	ენერგია
ქვესექტორი:	ენერგიის წარმოება და განაწილება
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	კანონი No. 34/1991 არარეზიდენტების მიერ ბიზნეს საწარმოებში ინვესტირების შესახებ.
ღონისძიების მოკლე აღწერა:	მხოლოდ ისლანდიის მოქალაქეებს, ისლანდიის იურიდიულ პირებს და ევროპის ეკონომიკური სივრცის სხვა წევრი სახელმწიფოს, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის სხვა წევრი სახელმწიფოს ან ფარერის კუნძულების მოქალაქეებსა და იურიდიული პირებს შეუძლიათ ჰქონდეთ უფლება სხვა მიზნებისთვის გამოიყენონ ჰიდროელექტროენერგია და გეოთერმული ენერგია პირადი საყოფაცხოვრებო მოხმარების გარდა.[4] იგივე ვრცელდება ისეთ საწარმოში ინვესტირებაზე, რომელიც ჩართულია ელექტროენერგიის წარმოებასა და განაწილებაში.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	თევზის მარაგის გარდა, ჰიდროელექტროენერგია და გეოთერმული ენერგია არის ისლანდიის ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი. მათი გამოყენება უნდა იყოს ცენტრალიზებული ლიცენზირებისა და ენერგიის კომბინირებული წარმოების შესახებ შეთანხმებების მეშვეობით. ელექტროენერგიის წარმოება და განაწილება წარმოადგენს კომუნალურ საწარმოებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად მოქმედებს, როგორც სახელმწიფო მონოპოლიები.

[4] მოქალაქეობასა და იურიდიულ პირთან დაკავშირებულ კრიტერიუმში გამონაკლისის დაშვება EEA წევრი სახელმწიფოების და EFTA წევრი სახელმწიფოების ან ფარერის კუნძულების მუდმივი მაცხოვრებლებისათვის არ არის დათქმა ეროვნულ რეჟიმთან დაკავშირებით, არამედ ეს წინადადება ჩართულია იმისთვის, რომ წარმოადგინოს ღონისძიების ამომწურავი აღწერა.